სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო

ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ
0186 თბილისი, საქართველო
+995 32 230 51 65
info@youthagency.gov.ge

13 / მაისი / 2026 წ.

KARR1706019042826

№ 01/431

ონის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ლობჟანიძეს

ბატონო დავით,

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს - სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობით, მიმდინარე წლის ივნისი-აგვისტოს პერიოდში, გეგმავს „ჯარის ბანაკის“ ორგანიზებას ორ ლოკაციაზე: სერჟანტთა აკადემია (დ.კოჯორი), სამთო მომზადების სკოლა (ქ. საჩხერე).

ჯარის ბანაკის მიზანია, ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მომავალი თაობის ინფორმირებულობის გაზრდა ქართული ჯარის შესახებ.

ბანაკში მონაწილეობას მიიღებენ IX-XI კლასის (15-17 წლის) მოსწავლეები. თითოეულ ლოკაციაზე ბანაკი უმასპინძლებს 8 ნაკადს, თითო ნაკადი კი მოიცავს 6 დღეს. მონაწილეთა შერჩევა განხორციელდება პარტნიორ უწყებებთან და მუნიციპატიტეტის მერიებთან თანამშრომლობით.

შესაბამისად, გთავაზობთ შესაძლებლობას ჩაერთოთ მონაწილეთა შერჩევის პროცესში, რათა ბანაკში მონაწილეობის მიღება შეძლონ თქვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა. მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეთა შერჩევა განხორციელდეს ღია კონკურსის გზით.

ბანაკი განხორციელდება მიმდინარე წლის 21 ივნისიდან - 26 ივნისის ჩათვლით, საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ბაზაზე.

ჯარის ბანაკში მონაწილეობა შეუძლიათ:

- IX-XI კლასის(15-17 წლის) მოსწავლეებს;
- მოსწავლე არ უნდა იყოს ნამყოფი ჯარის ბანაკში 2023 - 2024 - 2025 წლებში;
- მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ბანაკში მონაწილეობის მოტივაცია;
- უპირატესობა მიენიჭებათ სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, იძულებით გადაადგილებული ოჯახის წევრ, ობოლ ან/და სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს.

<u>გასათვალისწინებელია, რომ ბანაკის პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სპორტულ და საველე აქტივობებს, რაც საჭიროებს ფიზიკურ გამძლეობას, ამიტომ ახალგაზრდების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის ქრონიკული დაავადებების მქონე ახალგაზრდების მონაწილეობა ბანაკში (გულის და სისხლძარღვთა დაავადებები (წნევა); დიაბეტი; ფილტვების ქრონიკული დაავადებები (ასთმა); ფსიქოლოგიური და ნევროლოგიური პრობლემები ან/და სხვა). გარდა ამისა მოგახსენებთ, რომ საბანაკე ლოკაციები არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის.</u>

აქვე გაცნობებთ, რომ მონაწილეთა უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობისთვის მონაწილეთა ბანაკებში განაწილება მოხდება რეგიონული პრინციპით.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ ჯარის ბანაკის მონაწილეთა შერჩევა და მიმდინარე წლის 15 ივნისამდე სააგენტოსათვის ბანაკში მონაწილეობის მსურველთა ძირითადი და სარეზერვო სიების (სქესთა ბალანსის დაცვით) და საჭირო დოკუმენტების მოწოდება, ჯამში - 15 მონაწილე.

დანართის სახით წარმოგიდგენთ:

1. დანართი N1 - მონაწილეთა სიის მოწოდების ფორმა;
2. დანართი N2 - მშობლის თანხმობის ფორმა;
3. დანართიN3 - ბანაკში წარსადგენი დოკუმენტაციისა და აუცილებელი ნივთების ჩამონათვალი; დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულოა სიის მოწოდებასთან ერთად;
4. დანართი N4 - „ჯარის ბანაკი“-ს მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები და წესი;
5. დანართიN5 - მუნიციპალიტეტის მერიის გვერდზე, სოციალურ ქსელში ღია კონკურსისთვის გამოსაქვეყნებელი სარეკომენდაციო ტექსტი და ბანერი.

შეგახსენებთ, რომ ბანაკის მონაწილეთა განთავსებას და კვებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხოლო ტრანსპორტირებას განახორციელებს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო.

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით პროგრამის კოორდინატორებს:

ანა ქერქაძე - ტელ: 599 186 987; ელ. ფოსტა: a.qerqadze@youthagency.gov.ge

სალომე ქრისტესიაშვილი -ტელ: 591 310 201; ელ-ფოსტა: S.Kristesiashvili@youthagency.gov.ge

პატივისცემით,

სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანა ბუხრაშვილი